საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 16 დეკემბრის
დადგენილება № 570

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირის – საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების
პროექტის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

მიღებული იქნეს საფუძვლად აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების საწესდებო კომისიების მიერ მომზადებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების პროექტი და შე

ტანილ იქნეს მასში ცვლილება შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- წარმომადგენლობითი საბჭოს ფორმირების ახალი წესი დამუშავდეს პროფესორ ჯ. გახოკიძის წინადადების მიხედვით;
- ფაკულტეტებზეშემოღებულ იქნეს მენეჯერის ინსტიტუტი;
- განისაზღვროს დეკანის ფუნქციები და არჩევნების პროცედურა;
- ხარისხის სამსახურის ფორმირების ახალი წესი დამუშავდეს პროფესორ გ. ძიძიგურის წინადადების მიხედვით;
- მოწონებულ იქნეს ფაკულტეტის საბჭოსა და სათათბიროს (მცირე საბჭოს) შექმნის წინადადება;
- პროფ. ზ. ლომსაძესა და გ. აბრამიშვილს დაევალოს მოკლე ვადაში შექმნას ჯგუფი საარჩევნო დებულების პროექტის მოსამზადებლად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე